შ. პ. ს "ხადიში"
დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი ვასილ ხადიშვილი
ტ. 599 78 55 96
vaso-xadishvili@mail.ru

შ. პ. ს. "ხადიში" ასრულებს ერთსართულიანი და მრავალსართულიანი სამრეწველო შენობებისა და ნაგებობების პროექტირებას სეისმურად აქტიურ ზონაში, როგორც ლითონის ისე რკინაბეტონის კონსტრუქციებში.

ასრულებს აგრეთვე საინჟინრო ნაგებობების, თბილელექტროსადგურების და ჰიდროელექტროსადგურების დამხმარე შენობების პროექტირებას.

ამასთანავე ასრულებს დაზიანებული შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტებს, მდინარეების ნაპირგამაგრებითი სამუშაოების პროექტებს და სხვა.

რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შ.პ.ს „ხადიში"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ვასილ ხადიშვილი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. მუხიანის 4ბმ.კ.რნ 29კ. №118

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი. მუხიანის 4ბმ.კ.რნ 29კ. №118

საიდენტიფიკაციო კოდი: 200128156

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: 599 78 55 96

ელექტრონული მისამართი: vaso-xadishvili@mail.ru

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE52BG0000000113689500

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 13 000 ლ. (ცამეტი ათასი ლარი დ.დ.გ გარეშე)

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 10-03-2015

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად:

ხელმოწერა

**შემოსავლების სამსახური**

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
200128156

გადამხდელის დასახელება
**შპს ხადიში**

ხელმძღვანელი
**ვასილი ხადიშვილი**

გადამხდელის მისამართი
**გლდანი-ნაძალადევი / მუხიანი კორ.29 ბ.118**

ელ-ფოსტა
irakhad@yahoo.com

ტელეფონი
599785596

# ც ნ ო ბ ა

ეძლევა "შპს ხადიში"-ს (ს/კ 200128156) მასზედ რომ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით 18/02/2015 წლის 14:48 საათის მდგომარეობით ერიცხება სალდირებული ზედმეტობა -3774,48 ლარი.

| N | გადასახადის დასახელება | ძირითადი | სანქცია | საურავი | ზედმეტობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აქციზის გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2 | მოგების გადასახადი | 0 | 0 | 0 | 3793,69 |
| 3 | საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 0 | 154,7 |
| 4 | სოციალური გადასახადი | 0 | 0 | 14,98 | 0 |
| 5 | ქონების გადასახადი | 8,93 | 50 | 0 | 0 |
| 6 | სხვა ჯარიმები | 0 | 100 | 0 | 0 |
| | სულ: | 8.93 | 150 | 14.98 | 3948.39 |

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 18/02/2015

ID: 2792410

3398429

**ანგარიშის რეკვიზიტები**

სსიპ "შემოსავლების სამსახურის"
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი | TRESGE22
სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ანგარიში/სახაზინო კოდი 707017021

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16

ელ. ფოსტა: info@rs.ge, ვებ გვერდი: www.rs.ge

დანართი N2

**აფიდავიტი**

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

საკონკურსო წინადადების ფასი;
საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

**გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.**

**თანხმობა**

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $195^1$ მუხლის შესაბამისად

## საგადახდო დავალება N400

"18" თებერვალი 2015 წელი

რეფერენსი 3327651305

გადამხდელის დასახელება: ვასილ ხადიშვილი

ანგარიში (დებეტი) GE09BG4501981190090000 (ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

თანხა 50-00

თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ვასილ ხადიშვილი

საიდენტ. კოდი 01001038844

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 707797131

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

გადახდის დანიშნულება: ტენდერში მონაწილეობის საფასური

დამატებითი ინფორმაცია:

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 18.02.15

გატარებულია ბანკის მიერ: 18.02.15

ხელმოწერა

შტამპი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

BANK OF GEORGIA BAGAGE22 1368

ქ. თელავი. ერეკლე II გამზირი №4-ში მდებარე სამხატვრო სკოლისა და ელენე ახვლედიანის ქ. № 12 მდებარე ისტორიული შენობების რეაბილიტაციის საკონკურსო პროექტი

შ.პ.ს ,,ხადიში"

ხელმძღვანელი: ვ. ხადიშვილი

## განმარტებითი ბარათი

ქ. თელავში, დაზიანებული ისტორიული შენობის კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დავათვალიერეთ ერეკლე II გამზირის №4 მდებარე ისტორიული შენობა, სადაც ამჟამად განთავსებულია სამხატრო სკოლა და ელენე ახვლედიანის ქ. № 12 მდებარე ორსართულიანი ისტორიული სახლი.

### ქ. თელავი ერეკლე II გამზირი №4 სამხატვრო სკოლა

სამხატრო სკოლის შენობის დათვალიერებისას მისი აღდგენა გამაგრების კუთხით, ავღნიშნავ შემდგომს: ეზოს მხრიდან არსებული თაღი, სადაც ერთ ერთი თაღი გაბზარულია, საჭიროებს მთლიანი თაღის გრძივი გამაგრების მოწყობას, გარეთა და შიგნითა სიბრტეებში ლითონის ბრტყელი მჭიმების მოწყობის საშუალებით. სავარაუდოდ ბზარი მიწის ძვრით არის გამოწვეული.

მცდელობა მოეწყოთ აივანი ხის ძელებზე დახრილი გრძივი საყრდენების საშუალებით, ჩვენი მოსაზრებით მიუღებელია არა მარტო კონსტრუქციულად არამედ მხატვრული თვალსაზრისითაც. აივანი საკმაოდ განიერია, საჭირო იქნება სამშენებლო კონსტრუქციებში მიღებული საინჟინრო გადაწყვეტილების კვანძების საშუალებით გამაგრდეს. ამ გზით საიმედობა იქნება უზრუნველყოფილი.

შენობა საჭიროებს აგრეთვე ფიცრის იატაკის სავარაუდოდ 50% განახლებას, შესაძლებელია ხის კოჭების შეცვლა-განახლებაც გახდეს საჭირო, რომელიც პროექტის შესრულებისას და ზოგჯერ სამუშაოების შესრულების დროს გამოჩნდება. შენობის სახურავი და ქუჩის მხრის ნაწილი არ საჭიროებს რაიმე ღონისძიებებს ის ნორმალურად არის შესრულებული. ამ შენობაში მთლიანად ჩასატარებელია სამღებრო სამუშაოები. ცალკეულ ადგილებში ბათქაშის მოწყობის თანდართვით.









ქუჩა II გორხანა №4 სამხატვრო სკოლის სავარაუდო არქიტექტურული გადაწყვეტა



## ქ. თელავი ელენე ახვლედიანის № 12

ელენე ახვლედიანის ქუჩის №12-ში არსებული ორ სართულიანი შენობის დათვალიერებისას ნახული იქნა მრავლობითი დაზიანებები, რომლებიც გამოწვეულია სეისმური დატვირთვებით ასევე ქარისა და ბუნებრივი ნალექის ზემოქმედებით.

შენობის გარეთა მხარეს, ორმხრივად მოწყობილი აივანი ცალკეულ ადგილებში მთლიანად ჩამოშლილია, სხვაგან სადაც შერჩენილია იქ დამპალია ან ისეა დაზიანებული, რომ მისი შენარჩუნება არ იქნება შესაძლებელი. ორმხრივი აივანი განიცდის როგორც ნალექის, ისე ქარის დატვირთვების ძლიერ ზემოქმედებას, თანაც არსებული არამტკიცე ჩამაგრების პირობებში. ამის გამო საჭიროა სვეტების ქვეშ საძირკვლების მოწყობა, ორივე სართულის სვეტების გადაწყვეტა, მეორე სართულის იატაკისა და მასზე სახურავის მოწყობის გადაწყვეტა მათი სიმტკიცისა და მდგრადობის უზრუნველყოფა.

შენობის შიგნით მეორე სართულზე არსებული 2 ოთახიდან ერთ-ერთის ზემოთ სასხვენოს გადახურვა დამპალია სახურავიდან ჩამოსული ნალექის ზეგავლენით და საჭიროებს მის გამოცვლას, გარკვეული ნაწილი კონსტრუქციების ხელმეორედ გამოყენების გზით. პროექტის შედგენისას, საჭირო იქნება ჭერის შეფიცვრის ჩამოხსნა და კოჭოვანი უჯრედის საჭირო ღონისძიებების განსაძლვრა. საჭიროა აგრეთვე კედლებზე გაკრული შპალერის ჩამოხსნა საეჭვო ადგილებში

რაც შეეხება ჭერის სახურავის მდგომარეობას იქაც არასახარბიელო მდგომარეობაა. ქართული კრამიტის ქვეშ სამკუთხა კვეთის ნივნივებს თითქმის მთლიანად ლპობის კვალი აჩნევია.

სხვენის თავხე ეყრდნობა თავსა და ბოლოში ტორეცის სამკუთხა მოხაზულობის კედელს და შუა ნაწილში წყობისაგან შესრულებულ დიდი ზომის მქონე სვეტს. მთელი 6,0 და 5,0 მეტრის სიგრძის მონაკვეთში საყრდენის არ რსებობის პირობებში ამ თავხეს აჩნევია დაზიანებები და მრავალჯერ ნაწვალები გაძლიერების მცდელობები.

შენობის სახურავის კეხის ქვეშ გრძივი კედლის არ არსებობის გამო ვერ მოუწყვიათ საყრდენები თავხის ქვეშ და არ არის მოწყობილი ნივნივების დამჭერი დახრილი გამბრჯენები და მათი შემკოჭები, რის გამოც მოქანავე ნივნივების პირობებში სახურავზე ადგილს ინაცვლებს კრამიტი, რის შედეგადაც ხდება ნალექის შეღწევა სათავსოებში.

სახურავის თავხე როგორც ვთქვით, ეყრდნობოდა მთელ 11 მ სიგრძეზე 3 წერტილში. კრამიტების გარკვეული მასის დატვირთვა მოდის შუა ადგილას მასურ სვეტზე, ხოლო გარკვეული ნაწილი ტორეცის მხარეს მოწყობილ 20 სმ სისქის სამკუთხა კედელზე, რომელიც გაძლიერებულია კედლის ფიგუროვანი გასქელების გზით.

სხვენში კედელი სხვენის იატაკიდან აწეულია 1,10 – 1,15მ-ით,ტორეცებში კედელი აწეულია სამკუთხა ფორმით, რომლის სიმაღლე არის 2,60მ, სისქით 20სმ გასქელებული ფანჯრიანი გარკვეული ფორმის კონსტრუქციით, რითაც თხელ კედელს ანიჭებს მდგრადობას. მიღებულმა კონსტრუქციულმა გადაწყვეტამ ვერ უზრუნველყო კედლის სიმტკიცე და სეისმური ზეგავლენით გაუჩნდა საკმად მოზრდილი ბზარი. სხვენში სხვადასხვა ადგილას არის შედარებით მცირე ზომის ბზარები

გასაძლიერებელია სხვენში ასასვლელი კიბის კედლები. ეს კიბე სქელი შუა განივი კედლის შუაშია მოთავსებული და ამით ეს კედელი არის შესუსტებული. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მდგრადი სისტემა საჭიროა კედლის თავზე გატარებული იქნას რკინა ბეტონის გარკვეული ფორმის სარტყელი, რომელიც გაივლის სამკუთხა ფორმის ტორეცის კედლის თავზეც. საჭირო იქნება დამატებითი მზიდი კონსტრუქციის მოწყობა, რათა თავხის ქვეშ გარკვეულ მანძილებზე მოეწყოს საყრდენები და განმბრჯენები ნივნივების დასახმარებლად.











ფასადი 1 - 3



## ფასადი ა - გ

